ჭეშმარიტად, მოახლოვდება განსაცდელები, ჭეშმარიტად, მოახლოვდება განსაცდელები და არეულობა, რომლის დროსაც მჯდომარე უკეთესი იქნება მდგარზე, ხოლო მდგარი – უკეთესი მორბენალზე

'უსმან აშ-შაჰჰამი ამბობს: «მე და ფარყად ას-საბაჰი წავედით მუსლიმ იბნ აბუ ბაქრთან, როდესაც ის თავის მიწაზე იმყოფებოდა. მასთან შევედით და ვკითხეთ: გსმენია შენი მამისგან რაიმე ჰადისი ფითნების (არეულობების) შესახებ მან თქვა: "დიახ, მოვისმინე, რომ აბუ ბაქრათა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემდა, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, მოახლოვდება განსაცდელები, ჭეშმარიტად, მოახლოვდება განსაცდელები და არეულობა, რომლის დროსაც მჯდომარე უკეთესი იქნება მდგარზე, ხოლო მდგარი – უკეთესი მორბენალზე. და როდესაც ის დადგება, ვისაც აქლემები ჰყავს, დარჩეს თავის აქლემებთან, ვისაც ცხვარი ჰყავს, დარჩეს თავის ცხვრებთან, ხოლო ვისაც მიწა აქვს, დარჩეს თავის მიწაზე». ერთმა კაცმა თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო! თუ ადამიანს არც აქლემები, არც ცხვარი და არც მიწა არ აქვს?" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «მაშინ აიღოს თავისი მახვილი, მოჭრას მისი პირი ქვაზე და შემდეგ ეცადოს გადარჩენას, თუ შეეძლება. ო, ალლაჰ... გადავეცი [რაც უნდა გადმომეცა]? ო, ალლაჰ... გადავეცი [რაც უნდა გადმომეცა]?» ერთმა კაცმა თქვა: "ო, ალლაჰის მოციქულო! თუ მაიძულებენ დავდგე ერთ-ერთ რიგში ან შევუერთდე ერთ-ერთ ჯგუფს? და თუ ვინმე თავის მახვილით მომკლავს, ან ისარი დამჭრის და მომკლავს?" მან უპასუხა: «მაშინ ეს ადამიანი აიღებს თავის თავზე როგორც საკუთარ, ისე შენს ცოდვას და გახდება ცეცხლის მკვიდრთაგან ერთ-ერთი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

'უსმან აშ-შაჰჰამმა და ფარყად ას-საბახიმ მუსლიმს, აბუ ბაქრათის ვაჟს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), ჰკითხეს: გსმენია თუ არა მამაშენისგან რომელიმე ჰადისი მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) იმ არეულობებსა და ბრძოლებზე, რომლებიც მუსლიმებს შორის იქნება? მან უპასუხა: დიახ, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეგვატყობინა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ მოახლოვდება არეულობები. ამ არეულობების დროს მჯდომარე, რომელიც საერთოდ არ მიიღებს მათში მონაწილეობას, უკეთესი იქნება იმ მდგარზე, რომელსაც არ სურს მონაწილეობა და არ ეძებს მათ, ხოლო მდგარი იქნება უკეთესი იმაზე, ვინც ჩქარობს მათკენ, ვინც ეძებს მათ და მონაწილეობს მათში. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ურჩია იმას, ვისაც ფითნა (არეულობა) მის დროში და მის გარემოში მოისწავებს, თუ იპოვის თავშესაფარს, დაე, მას შეაფაროს თავი. ვისაც აქლემები ჰყავს საძოვარზე, დაე, მათთან წავიდეს, ვისაც ცხვრები ჰყავს საძოვარზე, დაე, მათთან წავიდეს. ვისაც მიწის ნაკვეთი და სავარგულები აქვს, დაე, თავისი მიწისკენ წავიდეს. ერთმა კაცმა თქვა: ო, ალლაჰის მოციქულო! რას იზამს ის, ვისაც არც თავშესაფარი აქვს, არც აქლემი, არც ცხვარი და არც მიწა? უპასუხა: დაე, აიღოს თავისი იარაღი, დააბლაგვოს და უვარგისი გახადოს, შემდეგ კი გაექცეს (ამ ფითნას) და დაიცვას საკუთარი თავი და ოჯახი, თუ შეძლებს გადარჩენას. შემდეგ

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სამჯერ დაამოწმა და თქვა: ო ალლაჰ, ხომ გადავეცი?! ო ალლაჰ, ხომ გადავეცი?! ო ალლაჰ, ხომ გადავეცი?! მაშინ ერთმა კაცმა ჰკითხა: ო, ალლაჰის მოციქულო! რა მოხდება, თუ მე ძალით მაიძულებენ, რომ ერთ-ერთ მხარეს შევუერთდე, და თუ ვინმე დამარტყამს მახვილს ან ისარი მომხვდება და მომკლავს? მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: ის საკუთარ ცოდვასაც და შენი მკვლელობის ცოდვასაც საკუთარ თავზე აიღებს და განკითხვის დღეს იქნება ჯოჯოხეთის მკვიდრთაგან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66383